MES 2 23 0000372271

03/04/2023

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:
გიორგი მირიანაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საკონსტიტუციო, ევროპული და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, საბჭოს თავმჯდომარე;
მაია დვალიშვილი - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანა ძაძამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; საბჭოს წევრი;
გივი ლუაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; საბჭოს მდივანი;
მაია ბასიაშვილი - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი; საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი:

თამარ ზაალიშვილი - სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი;
გიორგი ეზუგბაია - სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
მაია გუდაძე - სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სასწავლო პროგრამების სამსახურის უფროსი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ლევან მადათოვი - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
მაია ხურცილავა - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 28 მარტს. სხდომა დაიწო 17:00 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს პირველი სხდომა იყო ახალი შემადგენლობით და სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარადგინა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2023 წლის 9 თებერვლის №97/სა ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა: გიორგი მირიანაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საკონსტიტუციო, ევროპული და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით; გივი ლუაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; ანა ძაძამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; მაია ბასიაშვილი - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი; მაია დვალიშვილი - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 5 წევრი, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა იყო უფლებამოსილი, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სრული სიითი შემადგენლობა. ლონდა მინდიაშვილმა განმარტა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 02 აპრილის №281/სა ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და საბჭოს მდივანს. საბჭოს წევრმა, ანა ძაძამიამ წამოაყენა ასოცირებულ პროფესორ, გიორგი მირიანაშვილის კანდიდატურა საბჭოს თავმჯდომარედ და განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა აკადემიური წრიდან ყოფილიყო საბჭოს თავმჯდომარე, რადგან აკადემიურ პერსონალს დიდი გამოცდილება ჰქონდა პროგრამების შემუშავების მიმართულებით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება და ერთხმად დაუჭირეს მხარი გიორგი მირიანაშვილის აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი მირიანაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ მისი მოადგილის პოზიციაზე დაასახელა საბჭოს წევრი, მაია დვალიშვილი. საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი მაია დვალიშვილის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის საკითხს. საბჭოს წევრებმა საბჭოს მდივნის პოზიციაზე დაასახელეს საბჭოს წევრი, გივი ლუაშვილი. საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი გივი ლუაშვილის საბჭოს მდივნის პოზიციაზე დანიშვნის საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის ვიდეო და აუდიოჩაწერა. მან აქვე განმარტა, რომ ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხვა შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი.

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ლევან მადათოვს, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში (შემდგომში - ,,სწავლების ცენტრი“) განხორციელდა 2023 წლის 23 თებერვალს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ლევან მადათოვმა მოკლედ მიმოიხილა ექსპერტთა მიერ ვიზიტისას განხორციელებული აქტივობები, რომელთა ფარგლებში ჩატარდა გასაუბრებები სწავლების ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან პროგრამის შემუშავების და მისი ადმინისტრირების საკითხებზე. ასევე პროგრამის ტრენერებთან, რომლებთან ინტერვიუმაც აჩვენა მათი მაღალი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის მდგრადი განხორციელების გარანტს წარმოადგენს ერთი მხრივ თავად უდიდესი გამოცდილების მქონე სწავლების ცენტრი, მეორე მხრივ პროგრამის განხორციელებისთვის მოაზრებული ტრენერები. მათთან ინტერვიუირებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ექსპერტები

მათ კომპეტენციებში, რაც მათი პირადი საქმის შესწავლიდანაც ნათელი იყო. შესაბამისად, ტრენერების აკადემიური განათლება და შესაბამის სფეროში მიღებული გამოცდილება იძლევა იმის წინაპირობას, რომ პროგრამა განხორციელდეს მაღალ დონეზე, მაღალკვალიფიციურად.

პროგრამის განხორციელების მიზნით გამოიყენება სწავლების ცენტრის სარგებლობაში არსებულ შენობაში განთავსებული სატრენინგო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ტრენინგის ჩასატარებლად აუცილებელი ინვენტარითა და ტექნიკით. აღნიშნული სივრცე სწავლების ცენტრის მართლზომიერ მფლობელობაშია. ასევე, სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში - ,,ცესკო“) წერილობით დადასტურებული თანხმობით, უფლებამოსილია ისარგებლოს ცესკოს მფლობელობაში არსებულ შენობაში განთავსებული სატრენინგო სივრცეებით (დარბაზები შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით, სასწავლო-საყოფაცხოვრებო ფართი, კვების პუნქტი).

ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ არ გამოვლენილა ხარვეზი და ექსპერტთა ჯგუფს არ გაუცია რეკომენდაცია, იმდენად მაღალკვალიფიციურად იყო დოკუმენტაცია წარმოდგენილი. თუმცა, გაიცა ორი განმავითარებელი რჩევა:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას,თუმცა რთულია ნავიგაცია რომ დაინტერესებულმა პირმა ზუსტად მიაგნოს პროგრამის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროგრამის პოპულარიზაციაზე და ვებ-გვერდზე შესაბამისი ჩანართის შექმნაზე სადაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ტრენერებზე, მატერიალურ რესურსზე და ა.შ;
2. სასურველია მსმენელთა შეფასების პროცესი განხორციელდეს ელექტრონულ ფორმატში. მითუმეტეს, ორგანიზაციას ამ მიმართულებით გააჩნია სათანადო გამოცდილება და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მაია დვალიშვილმა სთხოვა ექსპერტებს უფრო მკაფიოდ წარმოედგინათ ინფორმაცია ტრენერების პროგრამის შემუშავებაში ჩართულობასთან დაკავშირებით, მიეწოდებინათ დამატებითი ინფორმაცია, რაც საბჭოს წევრებისთვის უფრო ნათელს გახდიდა პროგრამის შემუშავების პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია ხურცილავამ განმარტა, რომ ტრენერებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების ეტაპზე. როგორც მათ აღნიშნეს, პერიოდულად ჰქონდათ შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან, შეთანხმებულად ჩამოაყალიბეს თემატიკა, გაუზიარეს ერთმანეთ სახელმძღვანელოები. თითოეული საგნის განმახორციელებელი პირი იზიარებდა თემატიკას, სასწავლო რესურსს, შესაბამისად ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში. ექსპერტმა მოიწონა სწავლების ცენტრის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე სწავლების ცენტრმა გააკეთა პროგრამის პილოტირება. აღნიშნული ტრენერებმაც დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ უკუკავშირის საფუძველზე გარკვეული დაზუსტებები შეიტანეს პროგრამაში და დახვეწილი წარადგინეს აკრედიტაციის მიზნით.

ლევან მადათოვმა დაამატა, რომ ტრენერები, ვინც განახორციელებენ ამ პროგრამით განსაზღვრულს საგნებს, არიან უკვე აკრედიტებული იმავე პროგრამის ტრენერები, რომლებიც უკვე განხორციელდა სხვადასხვა დროს. რაც შეეხება უშუალოდ ტრენერების გამოცდილებას - არამხოლოდ დოკუმენტაციის საფუძველზე, არამედ ინტერვიუირებით დადასტურდა მათი კომპეტენცია და გამოცდილება. ასევე გამოვლინდა ტრენერების მაღალი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

საბჭოს წევრი, მაია ბასიაშვილი დაინტერესდა რატომ გადაწყვიტა სწავლების ცენტრმა მხოლოდ ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაცია.

სწავლების ცენტრის დირექტორმა , ნათია ზაალიშვილმა უპასუხა დასხმულ კითხვას და განმარტა რომ დაწყებულია მუშაობა ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ პროგრამაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში სწავლების ცენტრის ერთ-ერთი უმსხვილესი ბენეფიციარი სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციაა, რომლის შემადგენლობა არის ძალიან მრავალრიცხოვანი მოხელეებით. პრაქტიკულად საარჩევნო პერიოდისთვის 60 000-ზე მეტ მოხელესთან უწევს სწავლების ცენტრს ურთიერთობა და ამ შემთხვევაში მენეჯერული რგოლის ნაწილი რაოდენობრივად გაცილებით უფრო მცირე არის ვიდრე არამენეჯერული რგოლის წარმომადგენლებისა. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში განხორციელდა ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროგრამის აკრედიტაციის მიზნით მომზადება და წარდგენა.

ნათია ზაალიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სწავლების ცენტრს აქვს ცამეტწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირების. გამოცდილების ფარგლებში შეიძინეს დიდი არსენალი პარტნიორული ურთიერთობებისა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ახორციელებენ საერთაშორისო საექსპერტო მომსახურებებსაც. დამატებით აღნიშნა, რომ სწავლების ცენტრისთვის იქნება პატივი, თუ საბჭო გამოუცხადებს ნდობას და მიეცემათ საშუალება უკვე აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში განახორციელონ მაღალპროფესიული მომსახურება საჯარო მოხელეებისთვის, რომელთა მანდატი, რასაკვირველია, პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის გამართულ ფუნქციონირებას. სწავლების ცენტრის დირექტორის თქმით სწავლების ცენტრი იაზრებს და სრულად იღებს პასუხისმგებლობას, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას საჯარო სამსახურის გასაძლიერებლად.

საბჭოს წევრმა, ანა ძაძამიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკმაოდ ცოტა დრო არის გამოყოფილი იმ საგნებისთვის, იმ მიმართულებებისთვის, რომლებიც ისწავლება პროგრამის ფარგლებში. თუმცა, აქვე დასძინა, რომ ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით და დაწესებულება მოკლებულია აღნიშნულის შეცვლის შესაძლებლობას.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საკითხის კენჭისყრამდე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის

წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ საბჭომ, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად მიიჩნია სწავლების ცენტრისთვის რჩევის მიცემა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამით და სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფორმულირება იმგვარად იქნეს მოდიფიცირებული, რომ უფრო რეალისტურად იქნეს აღქმული და შესაბამისობაში მოვიდეს ტრენინგის ფორმასთან და ხანგრძლივობასთან მიმართებით. აქვე დააზუსტა, რომ საბჭოს ეჭვი არ შეაქვს სწავლის შედეგების გაზომვადობასა და მიღწევადობაში, თუმცა, სასურველია, ეგრეთწოდებული ,,ვორდინგი“ იქნეს მოდიფიცირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა სწავლების ცენტრის წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა განაცხადა, რომ რჩევები მათთვის ღირებულია და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 17:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მირიანაშვილი გიორგი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლუაშვილი გივი